საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ შალვა პაპუაშვილს

ა.ა.ი.პ.საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა ბათუმის

ცენტრის (საიდენტ N[redacted]ნ)

[redacted]

ტელ : [redacted]

[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესახებ

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად ა.ა.ი.პ. საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა ბათუმის ცენტრი წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში (2005 წლის 27 დეკემბერი, N2549-რს) შესატანი ცვლილებების შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი საკანონმდებლო წინადადება პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომაზე და გადასცეთ განსახილველად შესაბამის კომიტეტს.

საკითხის აქტუალურობისა და მისი დეტალური განხილვის მიზნით ვითხოვთ კომიტეტის სხდომაზე ჩვენი წარმომადგენლის მონაწილეობას.

პატივისცემით,

ბათუმის ცენტრის თანათავმჯდომარე :

ნოშრევან მამულაძე ----------

[redacted]

„22“ მაისი 2023 წელი

დანართი : 3 ფურცელი

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-7399/23
24 05 2023 წ. ფურც. 4

საკანონმდებლო წინადადება

სახელმწიფოს მიერ უკანასკნელ წლებში გატარებული ერთგვარი დადებითი ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს მოქალაქეთა სოციალური დაცვის გარანტიების შექმნას და სოციალური გასაცემლების ყოველწლიურ ინდექსირებას,ფასების ზრდისა და ეროვნული ვალუტის მყიდველობითუნარიანობის შემცირების ფონზე ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მინიმალურ სტანდარტებს. ამ მხრივ კიდევ უფრო უმწეოდ გამოიყურებიან ის მოქალაქეები, რომელთათვისაც სახელმწიფოს მიერ დაწესებული კომპენსაციის ოდენობა უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ერთ დონეზეა შენარჩუნებული.

თქვენთვის კარგადაა ცნობილი , რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის (2005 წლის 27 დეკემბერი, N2549-რს) მიღებამდე, საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრთა კომპენსაციის ოდენობა განსაზღვრული იყო 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარით, მაგრამ შემდგომში კანონში შეტანილი ცვლილებით,2006 წლის 1 იანვრიდან, ყოფილ პარლამენტართა კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა მოქმედი პარლამენტის წევრის ხელფასის მესამედით (მუხლი 13, მე-4 პუნქტი), თუმცა ამავე კანონის მე-7 მუხლით, კომპენსაციის ოდენობის მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრა 560 (ხუთასსამოცი) ლარით, გარდა კომპენსაციის მიმღები გარკვეული კატერგორიის პირებისა. ამასთან, კანონში გაუქმდა ის თავი, რომელიც ეძღვნებოდა პარლამენტის ყოფილ წევრთა სოციალური დაცვის გარანტიებს, რაც მიგვაჩნია, რომ იყო დისკრიმინაციული გადაწყვეტილება და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნას, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს მოქალაქის სოციალური მდგომარეობის გაუარესებას. გარდა ამისა, ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით- „ თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა ამ კანონითა და სახელმწიფო პენსიის შესახებ “ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლება, მას აქვს მხოლოდ ერთი, კანონით მინიჭებული სარგებელის მიღების უფლება,მისივე არჩევით. ამის შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, პირი ირჩევს სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებას და რჩება პენსიონერის სტატუსის გარეშე, რომ არაფერი ვთქვათ კომპენსაციასთან ერთად სახელმწიფო პენსიის მიღებაზე, რაც ასევე მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება,რომლის მიზანია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში (2005 წლის 27 დეკემბერი, N2549 -რს) ცვლილების შეტანა, ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრთათვის დაწესებული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის ზრდას, მათი სოციალური დაცვის გარანტიების შემოღებას და ჰარმონიზაციას ევროპულ კანონმდებლობასთან, რომელიც მინიმალურად მაინც უზრუნველყოფს ამ კატეგორიის მოქალაქეთათვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნას. ეს საკანონმდებლო წინადადება, არსებითად არ მოითხოვს კანონში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც შექმნიდა ახალ პრეცედენტს, პირიქით, იმეორებს მოქმედ კანონში სხვა კატეგორიის მოქალაქეთათვის

დაწესებულ ნორმებს, ამასთან არსებული ნორმების ამოქმედებას. ამის თაობაზე საკითხი ადრე არაერთხელ დაისვა პარლამენტის წინაშე, მაგრამ იგი ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა და დღემდე არ მოხდა დადებითად გადაწყვეტა.

გამომდინარე ზემოთ მოყვანილი არგუმენტებისა და საკითხის აქტუალურობის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე, რომლის მიზანია საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს შემდეგი საკითხები :

1. მოიხსნას ზემოთ მითითებული კანონის მე-7 მუხლით დაწესებული შეზღუდვა საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრთათვის და ამოქმედდეს ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი.
2. სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირს,თუ მას შეუსრულდა საპენსიო ასაკი და წარმოეშვა კანონმდებლობით დადგენილი უფლება სახელმწიფო პენსიის მიღების თაობაზე, მას უნდა მიენიჭოს პენსიონერის სტატუსი, დაენიშნოს სახელმწიფო პენსია და ისარგებლოს პენსიონერთათვის დადგენილი სოციალური დაცვის გარანტიებით.
3. შემუშავდეს საკანონმდებლო წინადადებები ყოფილ პარლამენტის წევრთა სოციალური დაცვის ღონისძიებების სრულყოფისა და ჰარმონიზაციის შესახებ და მიღებული იქნას შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

საკანონმდებლო წინადადების წარმდგენი ა.ა.ი.პ. საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა ბათუმის ცენტრის
თანათავმჯდომარე : ნოშრევან მამულაძე

ნოშრევან მამულაძე
„22" მაისი 2023 წელი

პროექტი

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს დაემატოს მე-5^2 პუნტი შემდეგი რედაქციით:

„5^2. ამ მუხლის მე-5 პუნქტის, აგრეთვე ამ კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპენსაციის მიმღებ პირებზე“.

მუხლი 2. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემედგი რედაქციით:

„მუხლი 7. კომპენსაციის /სახელმწფიო აკადემიური სტიპენდიის მაქსიმალური ზღვარი.

კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა, გარდა ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ და „ჟ“ ქვეპუქნტებით განსაზღვრულ კომპენსაციის მიმღებ პირებზე გასაცემი კომპენსაციის ოდენობისა, არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს“.

მუხლი 3. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 1 ივლისამდე შეიმუშაოს წინადადებები საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების სოციალური დაცვის ღონისძიებების შესახებ.“

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი: სალომე ზურაბიშვილი